2022 წლის 12 თვის ანგარიში საბიუჯეტო ორგანიზაციის პროგრამის და ქვეპროგრამების შესახებ
შსს საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიცია (30 02)

(საბიუჯეტო ორგანიზაციის დასახელება, პროგრამული კოდი)

სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება.

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: სახელმწიფო საზღვრის დაცვა -3002

პროგრამის განმახორციელებელი – საქართველოს სასაზღვრო პოლიცია

ათას ლარებში

პროგრამულ იკოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებუ ლი მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებუ ლი მოცულობა	12 თვის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთი არსებობის შემთხვევაში)
30 02	<u>სახელმწიფო საზღვრის დაცვა</u>	159 266,0	154 517,6	154 480,0	99,98%	-

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონაში, საქართველოს საზღვაო სივრცესა და საქართველოს იურისდიქციას დაქვემდებარებულ გემებზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სამაშველო ოპერაციების განხორციელება ადამიანთა სიცოცხლისა და ქონების გადასარჩენად, საქართველოს საზღვაო სივრცეში მისი სუვერენული უფლებების დაცვა, ზღვაოსნობისა და ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ნაოსნობის წესების დაცვის კონტროლი, სასაზღვრო პოლიციის სტრუქტურული ერთეულების, რეგიონული სამმართველოებისა და სასაზღვრო სექტორების ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის საჰაერო ფლოტის მხარდაჭერა.

2022 წლის 12 თვის განმავლობაში საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მიერ სახელმწიფო საზღვარზე გამოვლენილი და აღკვეთილი იქნა შემდეგი კანონსაწინააღმდეგო ქმედებები (1131 ფაქტი დაკავებულია 1319 პიროვნება):

- **გამოძიება დაწყებულია 267 საქმეზე დაკავებულია 160 პირი;**
- **ადმინისტრაციული სამართალდარღვევა - 547 ფაქტი 547 პირი;**
- **სასაზღვრო რეჟიმის დარღვევა - 317 ფაქტი 612 პირი.**

2022 წლის 12 თვეში საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მიერ გამოვლენილი სამართალდარღვევების შედეგად ბიუჯეტის სასარგებლოდ ჯარიმის სახით დაკისრებულმა თანხამ შეადგინა 1 843 875 ლარი.